



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში

2019 წელი

- ✓ ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება.
- ✓ საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2019 წელს დასაწერი სტანდარტების ანალიზის საფუძველზე, ასევე, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდა და დამტკიცდა აღრიცხვის და ანგარიშგების ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს მოამზადებენ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები 2020 წლის 1 აპრილამდე. IMF-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა აღრიცხვის და ანგარიშგების ინსტრუქციის ჩანაწერების IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი და მომზადდა რეკომენდაციები IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად. ასევე, IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ერთიანი ანგარიშთა გეგმის პროექტი, ასევე, IPSAS სტანდარტების გამოყენების ინსტრუქციის პროექტი. აღნიშნული ინსტრუქციების გამოყენება გათვალისწინებულია როგორც ორგანიზაციების, ასევე, სახაზინო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისათვის 2020 წლის 1 იანვრიდან. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგების დანერგილი IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, რომელიც ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, განთავსებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე www.treasury.ge. თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, სახაზინო სამსახურსა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას შორის 2017 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ჩატარდა IPSAS სტანდარტებთან დაკავშირებით სამუშაო





შეხვედრები/სემინარები როგორც აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში შერჩეული საპილოტე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის ასევე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბუღალტრებისათვის. გარდა ამისა, GIZ-ის დაფინანსებით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით მოეწყო სამუშაო შეხვედრები საპილოტე მუნიციპალიტეტების ბუღალტრებისათვის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად შემუშავებულ აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბუღალტრებისთვის აღრიცხვის და ანგარიშგების ზოგად საკითხებთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებულ აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად საპილოტე მუნიციპალიტეტებმა მოამზადეს თავიანთი ფინანსური ანგარიშგებები.

- ✓ საჯარო ფინანსების წარმატებული რეფორმის ფარგლებში დღის წესრიგში დგას რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულება, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს ფულადი სახსრების განთავსებას კომერციულ ბანკებში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის“ შესაბამისად. 2019 წლის განმავლობაში ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, განხორციელდა ფულადი სახსრების ნაშთების, შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ სხვადასხვა რეპორტების მომზადება/დახვეწა; კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა 2019 წლის შესაბამისი თვეების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება; ფუნქციონალურად დაიხვეწა ფულადი სახსრების განთავსებისათვის საჭირო ხაზინის ელექტრონული სისტემის მოდული, რომელიც ლიკვიდობის მართვის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს. გარდა ამისა, წლის განმავლობაში შედგა სამუშაო შეხვედრები ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და კომპანია ბლუმბერგის წარმომადგენლებს შორის, რომლის ფარგლებშიც მოხდა ინფორმაციის გაზიარება ფინანსური ბაზრების, ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების შესახებ. 2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინამ ბლუმბერგის სისტემაში გამართა სულ 66 აუქციონი.
- ✓ 2019 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგებების წარმოების დახვეწა და სრულყოფა. დღეისათვის სახელმწიფო ხაზინა აწარმოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვას,





ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სახელმწიფო ხაზინის სხვა სალარე და სავალუტო ანგარიშების მართვას, ოპერირებას და აღრიცხვას, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დაბრუნებას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვას, მართვას და ანგარიშგებას და სხვა. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მუდმივად ხდება აღრიცხვისა და ანგარიშსწორების პროცესის საოპერაციო ციკლის სრულყოფა და ოპერატიულობის გაუმჯობესება, ანგარიშგებების ფორმების დახვეწა და ახალი, უფრო ინფორმატიული ანალიტიკური ფორმების შემუშავება.

